

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“**  
**საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში ოპერატიული ფუნქციებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი აპარატის - საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შექმნა. აღნიშნული სამსახური იქმნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შერწყმით.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ერთმანეთისგან დიფერენცირებულია კრიზისული და საგანგებო სიტუაცია და დადგენილია მათი მართვის განსხვავებული წესები, თუმცა მათი შინაარსი მიუთითებს, რომ საგანგებო სიტუაცია მოიცავს კრიზისულ სიტუაციასაც. აღნიშნული გარემოება კი იწვევს საბჭოსთვის (მისი აპარატის) და სააგენტოსთვის კანონმდებლობით დაკისრებულებული ფუნქციათა გადაფარვას და უფლებამოსილებების დუბლირებას, რაც ხელს უშლის საგანგებო სიტუაციების დროს ერთიანი მართვის არსებობას და საგანგებო სიტუაციაზე ეფექტურად რეაგირებას. საგანგებო სიტუაცია, მასზე მყისიერი რეაგირების აუცილებლობის გათვალისწინებით, მოითხოვს ერთი გამოკვეთილი უწყების არსებობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საგანგებო სიტუაციაზე ეფექტიან რეაგირებაზე, არსებული რისკების მართვაზე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საქმიანობის განხორციელებაზე. ამდენად, მიზანშეწონილია, საბჭოს აპარატის და სააგენტოს ბაზაზე ჩამოყალიბდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. სამსახური უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას და სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას.

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებების განხორციელება შესაბამისადაა ასახული „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტში, რომლითაც განისაზღვრა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოებისა

და კრიზისების მართვის საბჭოს უფლებამონაცვლედ ჩაითვალოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ასევე განისაზღვრა ამ რეფორმიდან გამომდინარე გარდამავალი პერიოდისათვის შესაბამისი აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

ამასთან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შეეხო როგორც სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების რაოდენობას ასევე მათ საქმიანობის სფეროს და ფუნქციებს. ხსენებული ცვლილებების მიხედვით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უერთდება სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ვინაიდან, ახალი გამოწვევები, რომელიც ევროინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს გააჩნია, გულისხმობს გაცილებით უფრო ფართო კონტექსტს, რომელიც მთელი ქვეყნის საგარეო უწყების პრიორიტეტი და ძირითადი ხაზია. შესაბამისად, აღნიშნული მიუთითებს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული შიდა რეფორმების კოორდინაციის აუცილებლობაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან გაერთიანდა საქართველოს დაზვერვის სამსახური.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებულ ცვლილებებთან, კერძოდ, რიგ უწყებებში სტრუქტურულ-ფუნქციურ ცვლილებებთან „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობის უზრუნველყოფა. კერძოდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შექმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შერწყმით. ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მიერთება. ასევე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთიანდება საქართველოს დაზვერვის სამსახური.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტით ცვლილება შედის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის მაკოორდინირებელი ორგანოებში ნაცვლად „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს“, მიეთითება „საქართველოს მთავრობა“. კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელშიც მითითებაა IV თავზე და IV თავი (სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს დანიშნულება, უფლებამოსილებები და სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში შემადგენლობა და ა. შ.) ამოღებულ იქნება. ასევე ცვლილებების თანახმად, კანონის ტექსტიდან ამოღებული იქნება „საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი“.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტი არ გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან კანონპროექტის თანახმად არსებული უწყებების ძირითადი ფუნქციები კვლავაც ნარჩუნდება ახალ სტრუქტურაში და მათი ჯეროვანი განხორციელებისთვის საჭიროა შესაბამისი რესურსი. ამასთან აღნიშნული ძირითადი ფუნქციების გატარებასთან დაკავშირებული დამხმარე ფუნქციების განხორციელების ნაწილში მოსალოდნელია გარკვეული ოპტიმიზაცია ადმინისტრაციული ხარჯებისა და რესურსების მიმართულებით, რაც 2018 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გამოიკვეთება.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება, თუმცა მისი წინასწარ განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.